

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №14

ქ.თბილისი

9.12.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

დავით კიკალაიშვილი - ადვოკატი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
დიმიტრი ალავიძე - შპს „ვოლ ფაბლიშინგის“ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, საბჭოს მდი-
ვანი;
ნანა დალაქიშვილი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სასწავლო მასალებისა
და დანერგვის დეპარტამენტის უფროსი;
მიხეილ კორმახია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
ზაქარია შველიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის დოქტორანტი;
თეონა კუპატაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტო-
რის მოადგილე;
მადონა ჭეიშვილი - შპს „N5 კლინიკური საავადმყოფოს“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
გიორგი ცხვედიანი - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
კონსტანტინე ჩოკორაია - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ შუღრა - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ ურუშაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლიკა გიორგაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

გოჩა თუთბერიძე;
მანანა ხაჩიძე;
ნინო ლაღანიძე;
გიორგი ლაღანიძე;
ნატალია ბარათელი;
კობა არაბული;
ირმა ღარიბაშვილი;
გიორგი ღვედაშვილი;
მარინა გედევანიშვილი;
ნანა ფრუიძე;
დარეჯან გარდავაძე;
ეკა ეკალაძე.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

- რექტორის მოადგილე - დავით მახაშვილი;
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სპორტის პროგრამის ხელმძღვანელი - ჰამლეტ რაზმაძე;
- ბიოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი - თამილა ნადირაძე;
- ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი - ია ჯიმშიტაშვილი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამის ხელმძღვანელი - ქეთევან ნანობაშვილი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ნინო დურგლიშვილი;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ეკა ლეკაშვილი.

შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ინჟინერიის სკოლის დეკანი - მიხეილ ჩხენკელი;
- ხარისხის მართვის ხელმძღვანელი - ქეთევან ჯინჭარაძე.

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

- რექტორის მოადგილე - კონსტანტინე ვარდანაშვილი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ლევან ქაჯაია.

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

- ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - რესულ დოკმანი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - თინათინ კუბლაშვილი;
- ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი - ილიას ჩილოღლი;
- მარკეტინგის პროგრამის კოორდინატორი - კახაბერ ჯაყელი;
- მენეჯმენტის პროგრამის კოორდინატორი - გიორგი ბადათურია;
- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ეკატერინე ბაკარაძე;
- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი - ფარუქ გურსოი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი - ჯაბირ ერგუშვილი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე - ვახტანგ როდონაია.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ნინო ჟვანია;
- სასწავლო პროგრამების და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - ნინო დიანოსაშვილი;
- საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი - ზურაბ ჯავახიშვილი.

შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ წარმომადგენლები:

- რექტორი - დავით კიტეიშვილი;
- რექტორის თანაშემწე - გულიკო მექვაბიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის გამო, სხდომა გაიხსნა და სხდომა გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დავით კიკაელიშვილმა. სხდომა გაიხსნა 18¹⁵ სთ-ზე, თავმჯდომარემ შეამოწმა ქვორუმის არსებობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ზ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

30. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო (ქართულენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
31. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
32. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი (major) პროგრამის: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: დაზღუერი ფერწერა და ენკაუსტიკა; კომპიუტერული დიზაინი და დაზღუერი გრაფიკა; მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინი; ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და მხატვრული მინის დიზაინი; მოდის დიზაინი; ხატწერა, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება; საიუველირო ხელოვნება (ოქრომჭედლობა და მინანქარი) და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მეორე (minor) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
33. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერიის (ინფორმატიკა, მიკროელექტრონიკა, კომპიუტინგი) საბაკალავრო პროგრამის და კომპიუტერული ინჟინერიის მეორე (minor) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
34. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
35. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, გეოლოგია, გეოფიზიკა) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
36. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის საკითხის განხილვა;
37. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;
38. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;
39. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა სხდომაზე არ დაყენებულა. საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

1. სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა რომელმაც ისაუბრა დასკვნაში აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებსა და შენიშვნებზე:

- თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ “პროგრამის მიზანია ადგილობრივი შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი და ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო გამოცდილების მქონე სპეციალისტების მომზადება”. სტანდარტის თანახმად პროგრამის მიზნები უნდა იყოს: ნათლად ჩამოყალიბებული, ორიენტირებული დასაქმების ბაზარზე და მიღწევადი. პროგრამის სტრუქტურულიდან (სასწავლო კურსები და მოდულები), პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან ძნელია მსჯელობა რამდენად რეალისტურად მიღწევადია მიზანი - საერთაშორისო გამოცდილების მქონე სპეციალისტის მომზადება. საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის ახსნილი ამ პროგრამის შეთავაზების მიზეზები, თუმცა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ პროგრამის შეთავაზება გამოიწვია შრომის ბაზარზე ხარისხიან და კვალიფიციურ პერსონალზე მოთხოვნამ: “საქართველოში და კერძოდ კახეთის რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესის მზარდი მხარდაჭერა ისე როგორც სახელმწიფოს, ასევე უცხოური ინვესტორების მხრიდან, აქედან გამომდინარე შრომის ბაზარზე იზრდება მოთხოვნა ხარისხიან კვალიფიციურ პერსონალზე. ამ მიმართულების სპეციალისტი უნდა ერკვეოდეს ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ბიზნესის ეფექტური დაგეგმვა მისი კონტროლი, ადმინისტრირება და განვითარება, ათვისებული ქონდეს მმართველობითი, ორგანიზატორული, ეკონომიკური, საწარმოო, საფინანსო, მარკეტინგული უნარები - სწორედ ზემოთჩამოთვლილი შესაძლებლობებისა და უნარების შესწავლის მიზეზია აღნიშნული პროგრამის შეთავაზება”.

- საგანმანათლებლო პროგრამაში ყველა სასწავლო კურსი წარმოდგენილია 5 კრედიტის მოცულობით. ამასთან, საკონტაქტო საათების უმეტესობა საგნების მიხედვით არის 2 საათი კვირაში, რაც ჩვენი აზრით არ იძლევა ისეთი რთული საგნების სრულყოფილი ათვისების შესაძლებლობას, როგორიცაა „ფინანსური მენეჯმენტი“, „კორპორაციის ფინანსები“, „მიკროეკონომიკა“, „მაკროეკონომიკა“ და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია გადაიხედოს საკონტაქტო საათების რაოდენობა. - საგანმანათლებლო პროგრამით პირველი სემესტრში ისწავლება საუნივერსიტეტო კურსი უცხო ენა 5 კრედიტი და საფაკულტეტო არჩევითი კურსები 25 კრედიტის მოცულობით. თუმცა საფაკულტეტო არჩევითი კურსებიდან (სულ 55 კრედიტი) ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებისთვის რელევანტურად შეიძლება ჩაითვალოს “შესავალი კურსი ეკონომიკაში”, “შესავალი კურსი მათემატიკაში” და “შესავალი კურსი ტურიზმში” სულ 15 კრედიტი, მაგრამ ვინაიდან ისინი არჩევითი ხასიათისაა, სტუდენტს, ცხადია, შეუძლია არ აირჩიოს ეს კურსები, რაც მას ხელს არ უშლის გააგრძელოს სწავლა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით და მეორე სემესტრიდან, პრერეკვიზიტების იგნორირებით ისწავლოს ისეთი საგნები, როგორიცაა “მიკროეკონომიკა”, “მაკროეკონომიკა” და ა.შ. ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირებაში, აიგოს ე.წ. არჩევითი შესავალი კურსების გარეშე. მითუმეტეს, საგანმანათლებლო პროგრამა ისედაც უზრუნველყოფს მოდულების და საგნების არჩევითობას.

- მეორე სემესტრში ერთდროულად ისწავლება ისეთი სასწავლო კურსები, როგორცაა "მიკროეკონომიკა", "მაკროეკონომიკა" "მათემატიკა ეკონომისტებისათვის", რითაც ექსპერტთა აზრით, დარღვეულია კურიკულუმის შინაარსობრივი თანმიმდევრობა და ლოგიკა, დასახული კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების განვითარებასთან მიმართებაში. კერძოდ, კურსი "მათემატიკა ეკონომისტებისათვის", როგორც წესი, წარმოადგენს წინაპირობას კურსებისათვის „მიკრო“ და „მაკროეკონომიკა“, ხოლო მიკროეკონომიკის კურსი კი თავის მხრივ წინაპირობაა მაკროეკონომიკის კურსისა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მათი ერთდროულად სწავლება არ არის მიზანშეწონილი. საგანმანათლებლო პროგრამით მესამე სემესტრში ისწავლება სასწავლო კურსი "სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის" ხოლო სასწავლო კურსი "ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა", რომელიც ფაქტობრივად სტატისტიკის სასწავლო კურსის წინაპირობაა ისწავლება მეხუთე სემესტრში.

- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში არ არის სათანადოდ გათვალისწინებული სასწავლო კურსების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. პროგრამის გრაფიკი და გეგმა ისეა აგებული, რომ ის ვერ უზრუნველყოფს პრერეკვიზიტების სისტემის ლოგიკურობას.

- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია 29 სასწავლო კურსის სწავლება, საიდანაც 15 სასწავლო კურსი (52%) იკითხება ორი პროფესორის მიერ (ერთი კითხულობს 7 ხოლო მეორე კი 8 საგანს). მაგ., ერთ-ერთი პროფესორი, რომელსაც მიჰყავს ეკონომიკის მიმართულების ურთულესი კურსები: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, სტატისტიკა, ასევე კითხულობს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების საგნებსაც: მარკეტინგი, ტურიზმის მენეჯმენტი, კორპორაციის ფინანსები, ფინანსური მენეჯმენტი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

პირველ შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ, პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან გამოცდილი, ტრენინგგავლილი პირები. მათი განმარტებით, აღნიშნული პროგრამის სტუდენტებიც აქტიურად არიან ჩართულები გაცვლით პროგრამებში, მაგალითად ერასმუს მუნდუსის პროგრამაში - ლატვიაში, ბულგარეთში, საბერძნეთში. ისინი სწავლობენ ერთი პროფილის საგნებს. წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული პროგრამა უკვე შემოწმებული იყო აკრედიტაციის ექსპერტების მიერ, თუმცა, ექსპერტებს პირველ ვიზიტზე არ გამოუთქვამთ მსგავსი შენიშვნა. სასწავლო კურსების მოცულობასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღინიშნა, რომ საათების ასეთი განაწილება დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ და იგი ვრცელდება მთელ უნივერსიტეტზე, შესაბამისად, მისი შეცვლა პროგრამის ფარგლებში ვერ მოხდებოდა. რაც შეეხება საგნების: „მიკროეკონომიკა“, „მაკროეკონომიკა“, „მათემატიკა ეკონომისტებისათვის“ თანმიმდევრობას, აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ „მიკროეკონომიკა“ და „მაკროეკონომიკა“ ამ სახით ისწავლება რიგ წამყვან უნივერსიტეტებში. აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ თავიდან უნივერსიტეტს გაცილებით მეტი პერსონალი ჰყავდა, თუმცა, დაწესებულების განმარტებით, შემდეგ ორმა მათგანმა უარი თქვა უნივერსიტეტთან თანამშრომლობაზე. მაგრამ, როგორც წარმომადგენელმა განაცხადა, სამომავლოდ იგეგმება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში 4 დოქტორანტის ჩართვა, რა თქმა უნდა, მას შემდეგ, როცა ისინი მოახდენენ თავიანთი დისერტაციის დაცვას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, გოჩა თუთბერიძეს დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია დაწესებულების წარმომადგენლის არგუმენტებზე. ექსპერტის განმარტებით, ის გარემოება, რომ თუნდაც წამყვან უნივერსიტეტებში არასწორად ისწავლება ეს სპეციალობა, არ შეიძლებოდა გამამართლებელ საფუძვლად მიჩნეულიყო უშუალოდ ამ პროგრამაში არსებულ ხარვეზებთან მიმართებით. მისი განმარტებით, სასწავლო დისციპლინები, საგნები პროგრამაში უნდა ისწავლებოდეს ლოგიკური თანმიმდევრობით, შესწავლის წინაპირობების დაცვით, სწორედ ისე როგორც ეს აღნიშნულია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. აკადემიურ პერსონალთან

დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ წარმოდგენილად ეჩვენება 2 პროფესორის მიერ ამდენი განსხვავებული საგნის სწავლება. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, დაწესებულებას აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით აქვს ორი მთავარი შენიშვნა, კერძოდ, აკადემიური პერსონალის ნაკლებობა და პროგრამაში შემავალი კომპონენტების არათანმიმდებრობა და დაშვების წინაპირობების ალოგიკურობა. მისი მოსაზრებით, აღნიშნული გარემოებები თითქმის შეუძლებელს ხდის სასწავლო პროცესის განხორციელებას სწავლების შესაბამისი ხარისხის დაცვით.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

2. სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა რომელმაც აღნიშნა რომ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, ექსპერტებს შენიშვნები და რეკომენდაციები არ აქვთ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა რომ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია საგანი „აკადემიური წერა“ ისწავლებოდეს საწყის სემესტრებში (პირველი ან მეორე), რათა სტუდენტმა შეძლოს შესაბამისი უნარ-ჩვევების გამოყენება სწავლის პროცესში;
- სასურველია სწავლებისა და სწავლის მეთოდები იყოს არა ზოგადი სახის, არამედ მეტად იყოს გათვალისწინებული კონკრეტული საგნის სპეციფიკა.
- სასურველია პროგრამაში მითეთითოს რა შემთხვევაში ან რა წინაპირობის შესრულების შემდეგ ეძლევა სტუდენტს უფლება შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი.
- სასურველია, გარდა ზოგადი საუნივერსიტეტო ინსტრუქციისა საბაკალავრო ნაშრომის შესრულების შესახებ, პროგრამაში დაკონკრეტდეს საბაკალავრო ნაშრომის (ჯგუფური პროექტების) დარგობრივი/შინაარსობრივი აუცილებელი კომპონენტები და მათი შეფასების კრიტერიუმები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ ეთანხმებიან რეკომენდაციებს და აუცილებლად გაითვალისწინებენ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა რომელმაც აღნიშნა რომ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა იყოს შემოქმედებითი (სპორტული) ტური.
- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები უფრო ფართოდ ასახავდეს დარგობრივ კომპეტენციებს. დასაქმების ბაზრის ათვისებისა და პროგრამის სრულყოფისათვის სასურველია მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტანი პროგრამის შემუშავება ცალკე მანორ პროგრამად ან ინტეგრირებულად არსებულ პროგრამაში, რომელიც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა სკოლაში დასაქმებას.
- სასურველია მემორანდუმის გაფორმება სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ადგილობრივ სტრუქტურულ ერთეულთან რაც პროგრამას მეტი განვითარების შესაძლებლობებს მისცემს.

ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ სპორტის პროგრამა მეორედ იხილებოდა აკრედიტაციის საბჭოზე, მისი განმარტებით, პირველად პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე აკადემიური პერსონალის სიმცირის გამო, თუმცა, ამ ეტაპზე უნივერსიტეტს აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებული ქონდა და პერსონალთან გაფორმებული ქონდა ხელშეკრულებები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეთანხმებიან რეკომენდაციებს და აუცილებლად გაითვალისწინებენ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა თამარ შუდრამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კონსულტაციასა და დახმარების მიღების ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებულები ტუტორის ინსტიტუტის შესახებ;
- უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღმწერით განსაზღვრული სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებულები თსუ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ;
- სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას დროულად მიაწოდონ ინფორმაცია სილაბუსებში განახლებული ძირითადი ლიტერატურის შექმნის შესახებ;
- უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღმწერის მეორე კრიტერიუმის („ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“) სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სწავლის მეთოდებს შორის მიზანშეწონილია გაძლიერდეს პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიტუაციური ანალიზების ხვედრითი წილი;
- მიზანშეწონილია პროგრამაში არსებული კომპეტენციები შეესაბამებოდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ ფორმულირებებს;
- მიზანშეწონილია ერთმანეთთან დაკავშირებული საგანთა ჯგუფის (მაგ. ინგლისური ენა 1 და ინგლისური ენა 2) შესწავლისას მომდევნო სასწავლო კურსის სწავლის შედეგი იყოს წინა სასწავლო კურსის სწავლის შედეგისაგან მეტად განსხვავებული;
- სასურველია ცალკეულ სილაბუსებში მოხდეს სასწავლო კურსების შინაარსის უკეთ გამოიჯვანა;
- მიზანშეწონილია, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მექანიზმების შემდგომი განვითარება;
- მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში უცხო ენის სასწავლო კურსის წინაპირობები მითითებული იყოს კურსის დასახელების და არა უცხო ენის ფლობის დონის მიხედვით;
- პროგრამაში მითითებული ადამიანური რესურსისა და სასწავლო კურსების ცხრილში მოცემული ადამიანური რესურსის ვინაობა უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს;
- ზოგიერთ სილაბუსში მითითებულია უცხოელ ავტორთა ნაშრომის მხოლოდ რუსულენოვანი თარგმანი, მაშინ როდესაც თარგმანი არსებობს სხვა ენებზეც, მათ შორის ქართულად. მიზანშეწონილია, მოხდეს არსებული გამოცემის მითითება სხვა ენებზეც, პირველ რიგში, ორიგინალის და ქართულ ენაზე (განსაკუთრებით, როცა რუსულად მითითებულია ინგლისურიდან რუსულად თარგმნილი ლიტერატურა. მაგ. ფილიპ კოტლერი და ა.შ.).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს. პროგრამა ახალი შემუშავებულია და ადმინისტრაციული თვალსაზრისით შესაძლოა პროგრამა მართლაც საჭიროებდა რეკომენდაციებს, რის გათვალისწინებასაც სამომავლოდ ნამდვილად აპირებს უნივერსიტეტი.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა რომ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთ სილაბუსში წარმოდგენილი იყოს ქართულენოვანი სალექციო კურსი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ ეთანხმებიან და გაითვალისწინებენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა რომელმაც აღნიშნა რომ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამაში სრულად აღიწეროს პროგრამაზე მიღების წინაპირობები.
- მიზანშეწონილია სპეციალობის რიგ სავალდებულო სასწავლო კურსებში გაიზარდოს პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების წილი.
- სასურველია რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში მოხდეს სწავლის შედეგების კომპეტენციების მიხედვით დაზუსტება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ ეთანხმებიან და გაითვალისწინებენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა რომელმაც აღნიშნა რომ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდეს სწავლის შედეგების/კომპეტენციების რუქას ცხრილის სახით.
- სასურველია სწავლების კონცეფციის პუნქტში გადაიხედოს ჩანაწერი სავლე პრაქტიკის შესახებ და ფორმულირდეს ნათლად.
- მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“ მოიცავდეს შემდეგ სასწავლო კურსებს: ჰიდროტექნიკური მშენებლობა და სატრანსპორტო მშენებლობა.
- მიზანშეწონილია, სასწავლო პროგრამა მოიცავდეს სასწავლო კურსს “ჰიდრაულიკა“, რათა დაწინდების დანაკარგების, ხახუნზე ჰაერის და ადგილობრივი დანაკარგების კანონების ცოდნა აუცილებელია ისეთი სასწავლო კურსებისთვის, როგორცაა- „შენობათა კეთილმოწყობა: წყალმომარაგება, კანალიზაცია“ და „შენობათა კეთილმოწყობა: თბოაირმომარაგება, ვენტილაცია“.
- სასწავლო კურსი „საინჟინრო გეოლოგია“ არის სასწავლო კურსის “ გრუნტების მექანიკა და ფუძე-სადირკვლების“ წინმსწრები საგანი. მიზანშეწონილია მისი გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამაში.
- სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ იქნეს მხოლოდ ის სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რომელსაც იყენებენ კურსების წამყვანი პროფესორები.
- სასურველია, სასწავლო კურსი „ სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია“ მოიცავდეს არა მხოლოდ ლექციას, არამედ პრაქტიკულ სამუშაოს ნაწილსაც.
- პროგრამა 240 კრედიტიანია რომელიც მოიცავს ისეთ საგნებსაც რომელიც არ არის სპეციალობის, თუმცა სასურველია სტუდენტს ჰქონდეს თავისუფალი კომპონენტების არჩევის საშუალება პროგრამაში გამოიკვეთოს, საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და არჩევითი კურსები.
- სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსში „ტექნიკური ინგლისური ენა“-მითითებული სწავლების მეთოდები ასახულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამაში. (მაგ. დისკუსია/დებატები; გონებრივი იერიში და სხვა).
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსი ქართული სამშენებლო ნორმები და წესები არ იყოს 6 კრედიტიანი, გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე შესაძლებელია თავისუფალი კომპონენტების შეთავაზება სატრანსპორტო მშენებლობიდან.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რიგი რეკომენდაციებისა გათვალისწინებულ იქნა ვიზიტის დროს, ხოლო დამტკიცებული სახით დაწესებულებას უნდა წარმოედგინა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოზე. აღნიშნული დაადასტურა ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ირმა ღარიბაშვილს და სთხოვა დაეზუსტებინა „ჰიდრავლიკა“ საერთოდ არ იყო გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამაში, თუ ისწავლებოდა მცირე რაოდენობით. რასთან დაკავშირებითაც ექსპერტმა განმარტა, რომ „ჰიდრავლიკის“ საფუძვლები ისწავლებოდა რიგ სილაბუსებში, რაც არ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ საკმარისად მიჩნეული და მიზანშეწონილად ჩათვალეს დაწესებულებისათვის აღნიშნული რეკომენდაციის მიცემა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების უმრავლესობა ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორეს და დანარჩენ ნაწილსაც აუცილებლად გაითვალისწინებენ. საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილ იქნა რეკომენდაციის გათვალისწინებით პროგრამის შესწორებული ვერსია. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა მდივანს, რომ წარმოდგენილი მასალა დართვოდა სხდომის ოქმს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მშენებლობის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის მშენებლობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

9. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა რომელმაც აღნიშნა რომ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, ექსპერტებს შენიშვნები და რეკომენდაციები არ აქვთ.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, აღნიშნული პროგრამა მეორედ გადიოდა აკრედიტაციას, რადგან ერთხელ უარი ეთქვა აკრედიტაციაზე. თავმჯდომარემ დაინტერესდა დაწესებულების მხრიდან გამოსწორებულ იქნა თუ არა წინა სხდომაზე დაფიქსირებული ხარვეზები ი და იგივე ექსპერტთა ჯგუფი იყო ვიზიტზე თუ სხვა შემადგენლობა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის იგივე შემადგენლობამ გადაამოწმა პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან და დაადგინა, რომ დაწესებულებას ყველა ხარვეზი გამოსწორებული ჰქონდა. აღნიშნული დაადასტურა აკრედიტაციის ექსპერტმა, ირმა ლარიბაშვილმა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მშენებლობის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მშენებლობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

10. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდა თუ არა დიპლომატიური ეთიკა. რაზეც მომხსენებელმა განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა სხვადასხვა საგნების სილაბუსში ითვალისწინებდა დიპლომატიური ეთიკის დისციპლინის ცალკეულ კომპონენტებს, ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილი იქნება თუ დაწესებულება უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს ამ საგნის შესწავლას.

საბჭოს წევრმა მადონა ჭეიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რა მოცულობით ითვალისწინებდა საგანმანათლებლო პროგრამა პრაქტიკულ კომპონენტს. რაზეც წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ სტაჟირება გაეცლოთ სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებში, მაგალითად როგორცაა ჯორჯ მარშალის სახელობის ფონდი, საგარეო საქმეთა სამინისტრო ა. შ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

21. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც აღნიშნა რომ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სტუდენტისათვის მიღებული ცოდნის პრაქტიკაში უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამით გაძლიერდეს პრაქტიკული სწავლების კომპონენტი.
- სასურველია პროგრამაში გაიზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და მზადაა გაითვალისწინოს ისინი.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის (ინგლისურენოვან) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

22. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო (ქართულენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ შუდრამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამაში გაიზარდოს თავისუფალი კომპონენტის წილი.
- მიზანშეწონილია სპეციალობის რიგ სავალდებულო სასწავლო კურსებში გაიზარდოს პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების წილი.
- სასურველია დასწრების კომპონენტი მოიცავდეს სტუდენტის აქტივობას მეცადინეობაზე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფორმატიკის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო (ქართულენოვანი) პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფორმატიკის საბაკალავრო (ქართულენოვანი) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

26. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლიკა გიორგაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პრაქტიკის კომპონენტის უფრო მეტი მოცულობით (კრედიტებით) გათვალისწინება. ასევე მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას დამატებითი (minor) სპეციალობის არჩევის შესაძლებლობა;
- სტუდენტები სწავლობენ ქართული წერისა და მეტყველების კულტურას 10 კრედიტის მოცულობით. აღნიშნული საგნის ამ მოცულობით სწავლება ქართულენოვან პროგრამაზე შესაძლებელია გადაიხედოს შემცირების მიმართულებით;
- მიზანშეწონილია შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი მათთვის ძალიან პროდუქტიული აღმოჩნდა და მომავალში აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, მოახდენდნენ პროგრამის მოდიფიცირებას და სტუდენტს შესაძლებლობას მისცემდნენ დამატებით მაინორ სპეციალობის ასარჩევად.

რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს პროგრამის ფინანსური გეგმის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიზანი, გარდა ხარისხიანი სწავლების შეთავაზებისა, ასევე იყო საქმიანობიდან მოგების მიღება, შესაბამისად, დაწესებულება სარგებლობს ერთიანი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის შემუშავებული ბიუჯეტით. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას და თვლის, რომ აღნიშნული დადებითად აისახება მომავალში პროგრამის ხარისხზე. ამდენად, დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა მზაობა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია გაეთვალისწინებინა მომავალში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

27. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლიკა გიორგაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პრაქტიკის კომპონენტის უფრო მეტი მოცულობით (კრედიტებით) გათვალისწინება. ასევე მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას დამატებითი (minor) სპეციალობის არჩევის შესაძლებლობა;
- სტუდენტები სწავლობენ ქართული წერისა და მეტყველების კულტურას 10 კრედიტის მოცულობით. აღნიშნული საგნის ამ მოცულობით სწავლება ქართულენოვან პროგრამაზე შესაძლებელია გადაიხედოს შემცირების მიმართულებით;
- მიზანშეწონილია შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი მათთვის ძალიან პროდუქტიული აღმოჩნდა და მომავალში აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, მოახდენდნენ პროგრამის მოდიფიცირებას და სტუდენტს შესაძლებლობას მისცემდნენ დამატებით მაინორ სპეციალობის ასარჩევად.

რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს პროგრამის ფინანსური გეგმის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიზანი, გარდა ხარისხიანი სწავლების შეთავაზებისა, ასევე იყო საქმიანობიდან მოგების მიღება, შესაბამისად, დაწესებულება სარგებლობს ერთიანი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის შემუშავებული ბიუჯეტით. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას და თვლის, რომ აღნიშნული დადებითად აისახება მომავალში პროგრამის ხარისხზე. ამდენად, დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა მზაობა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია გაეთვალისწინებინა მომავალში.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, პროგრამის ქართულენოვან და ინგლისურენოვან ვერსიებს შორის მხოლოდ სწავლების ენა იყო განსხვავება თუ შინაარსობრივად განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გარდა სწავლების ენისა, განსხვავებული იყო სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ცხადია, ადამიანური რესურსიც, ნაწილობრივ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

28. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლიკა გიორგაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პრაქტიკის კომპონენტის უფრო მეტი მოცულობით (კრედიტებით) გათვალისწინება. ასევე მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას დამატებითი (minor) სპეციალობის არჩევის შესაძლებლობა;
- სტუდენტები სწავლობენ ქართული წერისა და მეტყველების კულტურას 10 კრედიტის მოცულობით. აღნიშნული საგნის ამ მოცულობით სწავლება ქართულენოვან პროგრამაზე შესაძლებელია გადაიხედოს შემცირების მიმართულებით;
- მიზანშეწონილია შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი მათთვის ძალიან პროდუქტიული აღმოჩნდა და მომავალში აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, მოახდენდნენ პროგრამის მოდიფიცირებას და სტუდენტს შესაძლებლობას მისცემდნენ დამატებით მაინორ სპეციალობის ასარჩევად.

რაც შეეხება ქართული ენის სწავლებას, აღნიშნული პროგრამა ადრე მხოლოდ ინგლისურ ენაზე ხორციელდებოდა და ქართულ ენაზე შემდეგში მოხდა მისი თარგმნა, და პრაქტიკულად თითქმის უცვლელად გადმოტანა, თუმცა ქართულ ენაზე ასეთი სახით ფაქტიურად არ განხორციელებულა, შესაბამისად, აღნიშნულის გამოსწორება შესაძლებელია.

რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს პროგრამის ფინანსური გეგმის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიზანი, გარდა ხარისხიანი სწავლების შეთავაზებისა, ასევე იყო საქმიანობიდან მოგების მიღება, შესაბამისად, დაწესებულება სარგებლობს ერთიანი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის შემუშავებული

ბიუჯეტით. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას და თვლის, რომ აღნიშნული დადებითად აისახება მომავალში პროგრამის ხარისხზე. ამდენად, დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა მზაობა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია გაეთვალისწინებინა მომავალში.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, პროგრამის ქართულენოვან და ინგლისურენოვან ვერსიებს შორის მხოლოდ სწავლების ენა იყო განსხვავება თუ შინაარსობრივად განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გარდა სწავლების ენისა, განსხვავებული იყო სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ცხადია, ადამიანური რესურსიც, ნაწილობრივ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

29. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლიკა გიორგაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პრაქტიკის კომპონენტის უფრო მეტი მოცულობით (კრედიტებით) გათვალისწინება. ასევე მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას დამატებითი (minor) სპეციალობის არჩევის შესაძლებლობა;
- სტუდენტები სწავლობენ ქართული წერისა და მეტყველების კულტურას 10 კრედიტის მოცულობით. აღნიშნული საგნის ამ მოცულობით სწავლება ქართულენოვან პროგრამაზე შესაძლებელია გადაიხედოს შემცირების მიმართულებით;
- მიზანშეწონილია შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი მათთვის ძალიან პროდუქტიული აღმოჩნდა და მომავალში აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, მოახდენდნენ პროგრამის მოდიფიცირებას და სტუდენტს შესაძლებლობას მისცემდნენ დამატებით მაინორ სპეციალობის ასარჩევად.

რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს პროგრამის ფინანსური გეგმის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიზანი, გარდა ხარისხიანი სწავლების შეთავაზებისა, ასევე იყო საქმიანობიდან მოგების მიღება, შესაბამისად, დაწესებულება სარგებლობს ერთიანი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის შემუშავებული ბიუჯეტით. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას და თვლის, რომ აღნიშნული დადებითად აისახება მომავალში პროგრამის ხარისხზე. ამდენად, დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა მზაობა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია გაეთვალისწინებინა მომავალში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

30. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტურიზმის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლიკა გიორგაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია პრაქტიკის კომპონენტის უფრო მეტი მოცულობით (კრედიტებით) გათვალისწინება. ასევე მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას დამატებითი (minor) სპეციალობის არჩევის შესაძლებლობა;
- სტუდენტები სწავლობენ ქართული წერისა და მეტყველების კულტურას 10 კრედიტის მოცულობით. აღნიშნული საგნის ამ მოცულობით სწავლება ქართულენოვან პროგრამაზე შესაძლებელია გადაიხედოს შემცირების მიმართულებით;
- მიზანშეწონილია შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური გეგმა;
- სასურველია შესაბამისი (ტურიზმის სპეციფიკიდან გამომდინარე) ასახვა ჰქონდეს ისეთი საგნების სწავლებამ, როგორცაა - საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, ეთნოლოგია. მითუმეტეს, რომ შემდგომ გარკვეული ორიენტაცია გვაქვს ტურიზმზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის საფუძველზე უნდა/შეიძლება განვითარდეს;
- სასურველია გადახედილი იქნას არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი: შესაძლებელია გარკვეული საგნების ჩანაცვლება დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელი საგნებით (მაგ.: ტურიზმის საფუძვლები, საქართველოს ტურიზტულ-რეკრეაციული რესურსები და ა.შ.);
- მიზანშეწონილია დასაქმების ადგილობრივი ბაზრის სისტემური კვლევა და ამ პროცესის ფართე ინსტიტუციონალიზაცია (მითუმეტეს ტურიზმის ორიენტაციით, რაც გარკვეული სიახლეა უნივერსიტეტისთვის).
- სასურველი იქნება მიზნობრივი კვლევების შედეგების საფუძველზე მოხდეს სასწავლო პროგრამის კორექტირება, რათა ოპტიმალურად იქნას გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი მათთვის ძალიან პროდუქტიული აღმოჩნდა და მომავალში აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, მოახდენდნენ პროგრამის მოდიფიცირებას და სტუდენტს შესაძლებლობას მისცემდნენ დამატებით მაინორ სპეციალობის ასარჩევად.

რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს პროგრამის ფინანსური გეგმის შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიზანი, გარდა ხარისხიანი სწავლების შეთავაზებისა, ასევე იყო საქმიანობიდან მოგების მიღება, შესაბამისად, დაწესებულება სარგებლობს ერთიანი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის შემუშავებული ბიუჯეტით. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით უნივერსიტეტი იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას და თვლის, რომ აღნიშნული დადებითად აისახება მომავალში პროგრამის ხარისხზე. ამდენად, დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქვა მზაობა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია გაეთვალისწინებინა მომავალში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტურიზმის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტურიზმის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტურიზმის (ქართულენოვანი) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

31. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუმამემ რომელმაც აღნიშნა რომ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- პროგრამის თვითშეფასების კითხვარში დაფიქსირებულია ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, მეორე პუნქტი, რომელიც მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში არ ივსება, გრაფაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია წერია (ინგლისური ენის) მასწავლებელი. თავად პროგრამის აღწერილობით, მიზნით და შედეგით, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუთი, მის მიერ ექსპერტთა ჯგუფისთვის პროგრამის უკეთ წარსადგენად მომზადებული ვიზუალური მასალით, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურთან გადამოწმებით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ როგორც პროგრამის ხელმძღვანელს, ისე პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულ ყველა რგოლს კარგად აქვს გათვითცნობიერებული რომ პროგრამა სასერთიფიკატოა და ის კვალიფიკაციას ვერ მიანიჭებს. შესაბამისად, ექსპერტის რეკომენდაციას წარმოადგენს აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორება;

- ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების სასერთიფიკატო 60 კრედიტიანი პროგრამა ძირითადად ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შეეთავაზებათ ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე, ექსპერტების რეკომენდაციაა, თვითონ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში არჩევითი კრედიტები მთლიანობაში გაიზარდოს, რომ ამ ორი პროგრამის თავსებადობა უფრო მოქნილად განხორციელდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს და მზადაა გაითვალისწინოს ისინი.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

32. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი (major) პროგრამის: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: დაზღუერი ფერწერა და ენკაუსტიკა; კომპიუტერული დიზაინი და დაზღუერი გრაფიკა; მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინი; ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და მხატვრული მინის დიზაინი; მოდის დიზაინი; ხატწერა, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება; საიუველირო ხელოვნება (ოქრომჭედლობა და მინანქარი) და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მეორე (minor) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ რომელმაც აღნიშნა რომ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, პროგრამის სასწავლო კურსებს დაემატოს მენეჯმენტისა და სამეწარმეო სამართლის საფუძვლები, რადგან, როგორც ცნობილია, სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმება თვითდასაქმების სხვადასხვა ფორმის (კერძო შეკვეთების, მცირე მასშტაბის სალონებისა თუ საკუთარი სახელოსნოების) ხარჯზე ხდება. ამდენად, გარკვეული ცოდნა მენეჯმენტისა და სამეწარმეო სამართლის სფეროში უდავოდ გაუადვილებთ მათ დასაქმებასაც და საკუთარი ბიზნესის კვალიფიციურად წარმართვასაც;

- სასურველია, საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის გათვალისწინება პროგრამული კონცენტრაციების შემადგენელ თითოეულ სპეციალობაზე (მაგალითად, კონცენტრაციაში "კომპიუტერული დიზაინი და დაზღუერი გრაფიკა" საწარმოო პრაქტიკა მხოლოდ კომპიუტერული დიზაინის სპეციალობის სასწავლო კურსშია გათვალისწინებული, კონცენტრაციაში "მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინი" - მხოლოდ ფეხსაცმლის დიზაინის სასწავლო კურსში და ა. შ.);

- მიზანშეწონილია, პროგრამის ერთ-ერთი კონცენტრაციის, კერძოდ, ხატწერის, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავების სასწავლო კურსებს, ხატწერის დარგის სპეციფიკისა და სირთულის გათვალისწინებით, დაემატოს დამოუკიდებელ კურსად ხატის კანონიკა და იკონოგრაფია, მით უფრო, რომ აღნიშნული კონცენტრაციის მიზანში მითითებულია, რომ "სტუდენტი შეისწავლის ხატწერის სახეობებს, ნებისმიერი ხატის შესრულებას კანონიკისა და ტექნოლოგიური წესების დაცვით", ხოლო სწავლის შედეგებში აღნიშნულია, რომ "სტუდენტს შეუძლია ნებისმიერი სირთულის ხატის შესრულება შესაბამის მასალაში კანონიკური წესების ზუსტი დაცვით";

- სასურველია, დაზუსტდეს ზოგიერთი სპეციფიკური ტერმინი, რომელიც პროგრამის მიზნებში, სწავლის შედეგებში, შეფასების სისტემასა და სპეციალური საგნების სილაბუსებში ფიგურირებს. ასე მაგალითად, ტერმინი "საავტორო" ან "ექსკლუზიური ნიმუში" უმჯობესია შეიცვალოს საავტორო ან ექსკლუზიური ნამუშევრით, "დარგობრივი კომპოზიცია" - მხატვრული ნაწარმოებით, ხოლო "ნამუშევრის კომპოზიციურობა" - კომპოზიციური აგების პრინციპით ან ნამუშევრის კომპონირების უნარით;

- სასურველია, სპეციალობის სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიმიჯნოს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და მიეთითოს კონკრეტული გვერდები იმ შემთხვევებში, როდესაც ლიტერატურის ჩამონათვალი მეორდება რამდენიმე სემესტრის განმავლობაში. ეს საგრძნობლად გაუადვილებს სტუდენტებს კონკრეტული თემის გაცნობიერებას და შესაბამისი პრაქტიკული დავალების შესრულებას;
- სასურველია, დაზუსტდეს პროგრამის კომპეტენციათა რუქა (მატრიცა) და სრულ შესაბამისობაში მოვიდეს თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში აღწერილი სწავლის შედეგებთან, რადგან წარმოდგენილი რუქის თანახმად პროგრამის შემადგენელი ყველა სასწავლო კურსი ექვსივე კომპეტენციაზე გადის, რაც არ არის ასახული თითოეული კურსის სილაბუსში.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს და მზადაა გაითვალისწინოს ისინი.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა სპეციალობის სასწავლო კურსების სილაბუსებში იყო თუ არა გაიმიჯნული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. ექსპერტის განმარტებით, სახელოვნებო სფეროში ქართულენოვანი ლიტერატურა ძალიან მწირია, თუმცა, მისი განცხადებით, დაწესებულებას შეუძლია არსებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით სილაბუსში ისე ასახოს ინფორმაცია, რომ სტუდენტისთვის მარტივად აღმადი იყოს თუ რომელ თავს უნდა გაეცნოს კონკრეტულ თემატიკასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, დაწესებულებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს ექსპერტთა იმ რეკომენდაციაზე, რომლის მიხედვითაც პროგრამის ერთ-ერთი კონცენტრაციის, კერძოდ, ხატწერის, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავების სასწავლო კურსებს, ხატწერის დარგის სპეციფიკისა და სირთულის გათვალისწინებით დამოუკიდებელ კურსად უნდა დაემატოს ხატის კანონიკა და იკონოგრაფია. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს დაეზუსტებინა, ისწავლებოდა თუ არა პროგრამაში ხატწერის კონცენტრაცია სათანადო მოცულობით. რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამაში აღნიშნული კონცენტრაცია ისე იყო გაწერილი, რომ სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდა კვალიფიკაციის შესაბამისი უნარ-ჩვევები გამოემუშავებინა. თუმცა, მისი განმარტებით, კონცენტრაციის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწინილი იყო დაწესებულებას უფრო გაეძლიერებინა ამ მიმართულებით სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტისთვის სრულიად მისაღები იყო ექსპერტთა რეკომენდაციები და უახლოეს მომავალში გეგმავდა რეკომენდაციების აღსასრულებლად სამუშაოების განხორციელებას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი (major) პროგრამის: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: დაზგური ფერწერა და ენკაუსტიკა; კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა; მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინი; ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და მხატვრული მინის დიზაინი; მოდის დიზაინი; ხატწერა, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება; საიუველირო ხელოვნება (ოქრომჭედლობა და მინანქარი) და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მეორე (minor) პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი (major) პროგრამის: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: დაზგური ფერწერა და ენკაუსტიკა; კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა; მხატვრული ტექსტილისა და ფესსაცმლის დიზაინი; ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და მხატვრული მინის დიზაინი; მოდის დიზაინი; ხატწერა, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება; საიუველირო ხელოვნება (ოქრომჭედლობა და მინანქარი) და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მეორე (minor) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

33. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერიის (ინფორმატიკა, მიკროელექტრონიკა, კომპიუტინგი) საბაკალავრო პროგრამის და კომპიუტერული ინჟინერიის მეორე (minor) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ შუდრამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამაში დაკონკრეტდეს პროგრამაში შემავალი ცალკეული მიმართულებების ინფორმატიკის, მიკროელექტრონიკისა და კომპიუტინგის დასაქმების სფეროები;
- სასურველია დადგინდეს მეორად პროგრამაზე - „მიკროელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერია“ მიღების წინაპირობები, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი უნარების მქონე სტუდენტების ჩართვას პროგრამაში.
- გასაძლიერებელია ერთი და იმავე მიმართულების სასწავლო კომპონენტებს შორის ლოგიკური ურთიერთკავშირი (კერძოდ, პროგრამით გათვალისწინებულია სავალდებულო კურსები პრაქტიკული მათემატიკის ელემენტები 1, პრაქტიკული მათემატიკის ელემენტები 2, კალკულუსი. არც ერთ მოცემულ სასწავლო კურსს არა აქვს განსაზღვრული წინაპირობა);
- პროგრამის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით მიზანშეწონილია გაძლიერდეს ადამიანური რესურსები, აკადემიური პერსონალის არჩევის გზით;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტებში ინგლისურენოვან ლიტერატურასთან ერთად მიეთითოს ქართულენოვანი სასწავლო მასალაც;
- მიზანშეწონილია, კურიკულუმში ნათლად მიეთითოს არჩევითი საგნების ნუსხიდან ასარჩევი კრედიტების რაოდენობა;
- ცალკეულ სილაბუსში ტესტის ტიპის შეფასება სრულად ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგის შეფასებას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ტესტის ტიპის შეფასება თავის თავში არ გულისმხმობდა მხოლოდ კლასიკურ ტესტს (ოთხი სავარაუდო პასუხით). მისი განცხადებით, ტესტის ტიპის შეფასებაში გვხვდება ღია კითხვები, კლასიკური ტესტი, კონკრეტული სიტუაციული ანალიზები და ა. შ. და შესაბამისად, ტესტი ხარისხიბრივად სხვადასხვა დონისაა. ამასთან, ტესტი წარმოადგენს ბოლო შეფასების ფორმას, მაშინ როცა შუალედური შეფასებისათვის გამოყენებულია პრეზენტაცია, და ა. შ. საბჭოს წევრმა იკითხა, ტესტი, როგორც შეფასების მეთოდი, რამდენად სრულყოფილად აფასებდა სწავლის შედეგს. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სწავლის შედეგის შეფასება აღნიშნული გზით მიღწევადი იყო, თუმცა მიზანშეწონილად მიიჩნია განმარტებული მეთოდების ცალ-ცალკე ასახვა სილაბუსში.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ეხებოდა პროგრამის აგებულებას. მისი განმარტებით, „პრაქტიკული მათემატიკის ელემენტები 1“, „პრაქტიკული მათემატიკის ელემენტები 2“ და „კალკულუსი“ ზოგადსაუნივერსიტეტო ბლოკის საგნებია. კალკულუსის წინაპირობაა გამოყენებითი მათემატიკა. მიკროელექტრონიკისა და კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულებაზე პრაქტიკულ მათემატიკას გადის ყველა სტუდენტი, სანამ გაივლის ძირითადი სპეციალობის საგნებს.

რაც შეეხება მეოთხე რეკომენდაციას, ექსპერტმა აღნიშნულთან დაკავშირებით დააზუსტა, რომ სასურველია მეტი აკადემიური პერსონალი ჩაერთოს პროგრამის განხორციელებაში, რადგან პროგრამაში აკრედიტაციის ვიზიტის დროს მხოლოდ ერთი აკადემიური პერსონალი იყო ჩართული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყვნენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი სხვადასხვა მიმართულებიდანაც და შესაბამისად, პროგრამა კადრების სიმცირეს არ განიცდიდა დაწესებულება.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერიის (ინფორმატიკა, მიკროელექტრონიკა, კომპიუტინგი) საბაკალავრო პროგრამის და კომპიუტერული ინჟინერიის მეორე (minor) პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროელექტრონიკა და კომპიუტერული ინჟინერიის (ინფორმატიკა, მიკროელექტრონიკა, კომპიუტინგი) საბაკალავრო პროგრამას და კომპიუტერული ინჟინერიის მეორე (minor) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

34. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, თამარ შუდრამ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამაში (სწავლების ზედა კურსებზე) გათვალისწინებული იქნას სასწავლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოება“, რომლის სწავლება, ინჟინერიის ფაკულტეტის პროფილის სპეციფიურობიდან გამომდინარე, ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია;
- შეძლებისდაგვარად მოხდეს განახლება სილაბუსებში წარმოდგენილი უცხო ენოვანი ლიტერატურის ქართულ ენოვანით ან პედაგოგის მიერ შედგენილი ქართულენოვანი სალექციო კურსებით;
- მომავალში, სასწავლო პროგრამებში, გაწერის თანმიმდევრობით, დაკონკრეტდეს - სასწავლო, საწარმოო(საპროექტო) პრაქტიკები და შესასწავლ ობიექტებზე გასვლები;
- სასურველია, არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის და პროფესიის სპეციფიურობიდან გამომდინარე, სწავლების პირველივე წლიდან, სტუდენტებისთვის შესაძლებელი გახდეს მაპროფილებელი საგნების მეტი არჩევითობა. (ეს საკითხი მკაფიოდ გამოიკვეთა სტუდენტებთან ინტერვის დროსაც).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მართალია, შრომის უსაფრთხოება ცალკე საგნად არ ისწავლება, თუმცა შრომის უსაფრთხოების ელემენტები ინტეგრირებულია სასწავლო კურსებში. აღნიშნული გარემოება დაადასტურა ექსპერტმაც.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

35. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, გეოლოგია, გეოფიზიკა) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ცენტრის თანამშრომელმა, თამარ შუდრამ განაცხადა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე გამოსწორა ცალკეული საკითხები, რომელთან დაკავშირებითაც ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა გამოსწორებული მასალები. მასალები თან ერთვის საქმეს. საბჭოს წევრებს ზეპირ მოსმენაზე წარედგინათ შემდგომი რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის ადმინისტრირების მიდგომების მიხედვით, დეკანი წარმოადგენს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელს. მიზანშეწონილია, თითოეული პროგრამისათვის დამატებით შეირჩეს პროგრამის თანახელმძღვანელი, რაც უზრუნველყოფს წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის შედგომ დახვეწას და პერსპექტიულ განვითარებას.
- მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი კომპეტენციების განვითარების მიზნით, სასურველია, კურსების „საველე პრაქტიკა-1“ და „საველე პრაქტიკა-2“ სტატუსი არჩევითის ნაცვლად შეიცვალოს სავალდებულოდ.
- მიზანშეწონილია ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსი გადახალისდეს პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისად (მაგ, ქიმია, გეოეკოლოგიის საფუძვლები), ინგლისურენოვან ლიტერატურასთან ერთად მიეთითოს ქართულენოვანი სასწავლო მასალაც, ასევე, სასწავლო კურსების მიერ ჩამოსაყალიბებელი კომპეტენციებიდან გამომდინარე, სასწავლო დატვირთვაში გაიზარდოს პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების წილი.
- პროგრამის სწავლის შედეგებიდან და კომპეტენციებიდან გამომდინარე, სასურველია, ეკოლოგიური და გარემოს დაცვის დისციპლინების შემოტანა ან სასწავლო კურსის „გეოეკოლოგიის საფუძვლების“ სტატუსი არჩევითის ნაცვლად შეიცვალოს სავალდებულოდ.
- სასურველია, კურიკულუმში ნათლად გამოიკვეთოს არსებული სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრობა ერთი კომპეტენციის ფარგლებში, ასევე ზუსტად დაკონკრეტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები.
- სასურველია, სასწავლო კურსების კომპეტენციები დაკონკრეტდეს და კურიკულუმში წარმოდგენილ კომპეტენციათა რუკაში გაიწეროს ამ კონკრეტულის გათვალისწინებით.
- სასწავლო კურსის „ფიზიკის თანამედროვე ექსპერიმენტული მეთოდები“, წინაპირობაა „ინგლისურ ენაზე დაწერილი სამეცნიერო სტატიის გარჩევის უნარი“. რამდენადაც, კურსი განკუთვნილია ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის წინაპირობების განსაზღვრისას მეტი ყურადღება დაეთმოს შესაბამისი კომპონენტის გავლისათვის შესაბამისი ცოდნისა თუ უნარების აუცილებლობას. მით უმეტეს რომ, კურსის შინაარსიდან ირკვევა, რომ სტუდენტს აღნიშნული კომპეტენციის ფლობა არ მოეთხოვება კურსის წარმატებით ათვისებისათვის.

- მიზანშეწონილია სასწავლო კურსს „ქანების ფიზიკას“ წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსები „კალკულუსი“ და „ექსპერიმენტული ფიზიკა“.
- სასწავლო კურსი „კარტოგრაფიის საფუძვლებში“, კურსის მეთოდია ლექცია და სემინარი, მაშინ როცა კურსის მიზანში „სემინარის“ ნაცვლად მოხსენიებულია „ლაბორატორიული სამუშაო“. მიზანშეწონილია მოხდეს აღნიშნული ტერმინების სისტემაში მოყვანა;
- დასაქმების სფეროებში მითითებულია გეოეკოლოგია და ეკოლოგიური მონიტორინგი. შესაბამისად, სასურველია გაძლიერდეს ეკოლოგიის მიმართულებით საგნების სწავლება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სასწავლო კურსს „ფიზიკის თანამდეროვე მეთოდებთან დაკავშირებით“ დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული კურსი სხვა პროგრამიდან არის აღებული. მათ აღიარეს, რომ წინაპირობა ნამდვილად დამაბრკოლებელია. ბოლო რეკომენდაცისათან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა უშვებს გეოლოგსა და გეოგრაფს, და არა ეკოლოგს. გეოლოგი და გეოგრაფი შესაძლოა დასაქმდეს გეოეკოლოგიასა და ეკოლოგიურ მონიტორინგში. შესაბამისად, ეკოლოგიის მიმართულების საგნების გაძლიერება საჭირო არ არის.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, გეოლოგია, გეოფიზიკა) პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დააყენა. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები, გეოლოგია, გეოფიზიკა) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

36. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაფიქსირდა რიგი შენიშვნები, კერძოდ:

- სილაბუსებში გაწერილი შეფასების სისტემა მრავალკომპონენტია, თუმცა, დეტალურად არ არის გაწერილი აღნიშნულ კომპონენტებში ქულების დაგროვების წესი;
- პროგრამასთან აფილირებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი არ იცნობენ სილაბუსების შინაარსს, სილაბუსებში მოცემული შეფასების სისტემა კი არ ემთხვევა ფაქტობრივად გამოყენებულ შეფასების სისტემას.
- პროგრამის აღწერილობაში მითითებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი აზარებს ინტეგრირებულ გამოცდას პროფილურ დისციპლინებში, თუმცა შეფასების წესი და მეთოდები არ არის გაწერილი.
- დაწესებულებამ წარმოადგინა შემუშავებული კითხვარების ფორმები სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალისთვის, თუმცა, არ წარმოუდგენია აღნიშნული კითხვარები შევსებული სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების ასქულიანი სისტემა, რომელიც გროვდება სხვადასხვა კომპონენტით. მართალია, აღნიშნული კურსის სილაბუსში არ ფიქსირდება, თუმცა, შეფასების წესს, მეთოდებს და თითოეულ კომპონენტში ქულების დაგროვების წესს კურსის დასაწყისშივე აცნობს სტუდენტებს კურსის განმახორციელებელი პირი. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, სტუდენტთა არაინფორმირებულობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი მოგვიანებით

მოზილობის წესით გადმოვიდა სხვა უნივერსიტეტიდან და შესაძლოა, ისინი არ ფლობდნენ სრულად ინფორმაციას დაწესებულებაში მოქმედი შეფასების წესებისა და მეთოდების შესახებ. ინტეგრირებულ გამოცდასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ დამამთავრებელი კურსის ბოლოს სტუდენტი აბარებს ინტეგრირებულ გამოცდას წინა კურსებზე განვლილ საგნებში. გამოცდის ჩატარების წესი იდება საინფორმაციო დაფაზე და იგი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია, თუმცა აღნიშნული პროგრამაში გაწერილი არ არის, რასაც აუცილებლად გამოასწორებდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს მართლაც არ წარედგინა კითხვარების ფორმები შევსებული სახით, რაც განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ დაწესებულების თანამშრომელს, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა აღნიშნულ დოკუმენტაციაზე, ქალაქიდან მოუხდა გამგზავრება.

საბჭოს წევრმა სთხოვა ექსპერტს დაეკონკრეტებინა ვიზიტის ხანგრძლივობა, ან როგორ მოხდა გამოსაკითხი სტუდენტების შერჩევა. ლიკა გიორგამემ განმარტა, რომ ვიზიტი იყო ორდღიანი, დაწესებულებამ შეიმუშავა დღის წესრიგი, თავად შეარჩია გამოსაკითხი სტუდენტები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გამოსაკითხი სტუდენტები შემთხვევით იქნენ შერჩეული იმ სტუდენტთაგან, ვისაც ვიზიტის მიმდინარეობისას ლექციები უტარდებოდა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამაში შეფასების სისტემა მოცემული იყო, ზოგადად, უშუალოდ ინტეგრირებულ გამოცდასთან დაკონკრეტებული არ იყო, თუმცა, მოიაზრება რომ შეფასების იგივე წესი მოქმედებს. ექსპერტმა დააზუსტა, რომ სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის შეფასების წესი, თუმცა, სტუდენტთა ნაამბობი რადიკალურად განსხვავდებოდა სილაბუსებში მოცემული ინფორმაციიდან.

ცენტრის აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში აკრედიტაციის ორი სტანდარტის დარღვევა იყო სახეზე, კერძოდ, დაწესებულების მიერ არ გამოიყენებოდა შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, ასევე, ვერ დასტურდებოდა, რომ შიდა და გარე შეფასება გამოიყენებოდა პროგრამის შეფასებისას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სულ რამდენი სტუდენტი იქნა გამოკითხული. ლიკა გიორგამემ მოახსენა, რომ დაახლოებით 20 სტუდენტი იქნა გამოკითხული, საჭიროების შემთხვევაში ინტერვიუერთა ჩამონათვალიც შეეძლო წარმოედგინა, თუმცა, სხვადასხვა პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვა ერთად მოხდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სულ 180 სტუდენტი სწავლობდა დაწესებულებაში, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კი მხოლოდ 4.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რით შეიძლებოდა დადასტურებულიყო, რეალურად აღნიშნული გამოკითხვის შედეგები გამოყენებული და გათვალისწინებული იქნა თუ არა დაწესებულების მიერ. ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის, გიორგი ცხვედიანის განმარტებით, ასეთი რამ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაში უნდა ყოფილიყო აღნიშნული.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებაში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, სადაც დეტალურადაა აღნიშნული როგორ ხდება გამოკითხვის წარმოება და ა.შ. თუმცა, აღნიშნულის განხორციელება ვიზიტის დროს არ დადასტურდა.

საბჭომ იმსჯელა შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებული არ არის.

თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

37. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაფიქსირდა რიგი შენიშვნები, კერძოდ:

- სილაბუსების ნაწილში კურსების შედეგებში აღწერილი კომპეტენციები ხშირად ერთგვაროვანია სხვადასხვა დისციპლინებისთვის და არ ჩანს საგნის სპეციფიკა. დაზუსტებას საჭიროებს კურსის შედეგები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, რათა იგი არ ატარებდეს ტრაფარეტულ ხასიათს.

- პროგრამით გათვალისწინებულია შემაჯამებელი გამოცდა ზოგადი სპეციალიზაციის დასრულების შემდეგ, რომლის შეფასების სისტემა დასახვეწია, ვინაიდან 100 ქულიანი სკალიდან არ ჩანს სრული დიაპაზონი და მითითებულია მხოლოდ შემდეგი: ფრიადი - 95 ქულა, ძალიან კარგი - 85 ქულა, კარგი - 75 ქულა, დამაკმაყოფილებელი - 65 ქულა, საკმარისი - 55 ქულა.

- სტუდენტის შეფასების სისტემაში შეთავაზებულია ცალკეული კომპონენტები: მაგ: კლინიკური უნარ-ჩვევები, რეფერატი-პრეზენტაცია, რომელთა ხვედრით წილი შუალედურ შეფასებაში შეადგენს 20-20 ქულას, თუმცა, გაურკვეველია და შესაბამის ად, დასაზუსტებელია, რა კრიტერიუმით ხდება 0-დან 20 ქულამდე თითოეული ქულის დაგროვება. ამასთან, სტუდენტებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი წინასწარ არ არიან ინფორმირებულები სემესტრის მანძილზე რამდენჯერ მოუწევთ შუალედური გამოცდის ჩაბარება.

- დაწესებულებამ წარმოადგინა შემუშავებული კითხვარების ფორმები სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალისთვის, თუმცა, არ წარმოუდგენია აღნიშნული კითხვარები შევსებული სახით.

- პროგრამასთან აფილირებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები, თუმცა, სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სილაბუსებში მოცემული შეფასების სისტემა არ ემთხვევა ფაქტობრივად გამოყენებულ შეფასების სისტემას.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების ასქულიანი სისტემა, რომელიც გროვდება სხვადასხვა კომპონენტით. მართალია, აღნიშნული კურსის სილაბუსში არ ფიქსირდება, თუმცა, შეფასების წესს, მეთოდებს და თითოეულ კომპონენტში ქულების დაგროვების წესს კურსის დასაწყისშივე აცნობს სტუდენტებს კურსის განმახორციელებელი პირი. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, სტუდენტთა არაინფორმირებულობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი მოგვიანებით მობილობის წესით გადმოვიდა სხვა უნივერსიტეტიდან და შესაძლოა, ისინი არ ფლობდნენ სრულად ინფორმაციას დაწესებულებაში მოქმედი შეფასების წესებისა და მეთოდების შესახებ. მისი თქმით, რომ ექსპერტთა ჯგუფს მართლაც არ წარედგინა კითხვარების ფორმები შევსებული სახით, რაც განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ დაწესებულების თანამშრომელს, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა აღნიშნულ დოკუმენტაციაზე, ქალაქიდან მოუხდა გამგზავრება.

საბჭოს წევრმა სთხოვა ექსპერტს დაეკონკრეტებინა ვიზიტის ხანგრძლივობა, ან როგორ მოხდა გამოსაკითხი სტუდენტების შერჩევა. ლიკა გიორგაძემ განმარტა, რომ ვიზიტი იყო ორდღიანი, დაწესებულებამ შეიმუშავა დღის წესრიგი, თავად შეარჩია გამოსაკითხი სტუდენტები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გამოსაკითხი სტუდენტები შემთხვევით იქნენ შერჩეული იმ სტუდენტთაგან, ვისაც ვიზიტის მიმდინარეობისას ლექციები უტარდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სულ რამდენი სტუდენტი იქნა გამოკითხული. ლიკა გიორგაძემ მოახსენა, რომ დაახლოებით 20 სტუდენტი იქნა გამოკითხული, საჭიროების შემთხვევაში ინტერვიუერთა ჩამონათვალის შექმნის წარმოედგინა, თუმცა, სხვადასხვა პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვა ერთად მოხდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რით შეიძლებოდა დადასტურებულიყო, რეალურად აღნიშნული გამოკითხვის შედეგები გამოყენებული და გათვალისწინებული იქნა თუ არა. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებაში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, სადაც დეტალურადაა აღნიშნული როგორ ხდება გამოკითხვის წარმოება და ა.შ. თუმცა, აღნიშნულის განხორციელება ვიზიტის დროს არ დადასტურდა.

ექსპერტმა, ეკა ეკალაძემ აღნიშნა, რომ პროგრამიდან და სილაბუსებიდან, რიგ შემთხვევაში არ დასტურდებოდა, რომ სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ შეძლებდა საჭირო კომპეტენციის მიღებას. ლიკა გიორგაძემ დააზუსტა, რომ ხშირ შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, გამოყენებული მეთოდების მიხედვით, რომ იგი უფრო ფართო კომპეტენციებს უვითარებდა სასწავლო კურსი სტუდენტს, ვიდრე ეს სილაბუსში იყო მოცემული, ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ კომპეტენციების უცვლელად გადატანა ხშირ შემთხვევაში ტრაფარეტულ ხასიათს ატარებდა.

საბჭომ იმსჯელა შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებული არ არის.

თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ დიპლომირებული სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 7

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

38 შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაფიქსირდა რიგი შენიშვნები, კერძოდ:

- სილაბუსების ნაწილში კურსების შედეგებში აღწერილი კომპეტენციები ხშირად ერთგვაროვანია სხვადასხვა დისციპლინებისთვის და არ ჩანს საგნის სპეციფიკა. დაზუსტებას საჭიროებს კურსის შედეგები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, რათა იგი არ ატარებდეს ტრაფარეტულ ხასიათს.

- პროგრამაში გათვალისწინებულია კვლევის კომპონენტიც: სამედიცინო ინფორმატიკა, ბიოსტატისტიკა, ეპიდემიოლოგია, მცირე ლაბორატორიული კვლევები სამედიცინო ბიოქიმიის კურსში. ჩამოთვლილი კურსების სილაბუსებიდან ზუსტად ვერ ხერხდება კვლევის კომპონენტისთვის დათმობილი კრედიტის დაზუსტება.

- პროგრამით გათვალისწინებულია შემაჯამებელი გამოცდა ზოგადი სპეციალიზაციის დასრულების შემდეგ, რომლის შეფასების სისტემა დასახვეწია, ვინაიდან 100 ქულიანი სკალიდან არ ჩანს სრული დიაპაზონი და მითითებულია მხოლოდ შემდეგი: ფრიადი - 95 ქულა, ძალიან კარგი - 85 ქულა, კარგი - 75 ქულა, დამაკმაყოფილებელი - 65 ქულა, საკმარისი - 55 ქულა.

- სტუდენტის შეფასების სისტემაში შეთავაზებულია ცალკეული კომპონენტები: მაგ: კლინიკური უნარ-ჩვევები, რეფერატი-პრეზენტაცია, რომელთა ხვედრით წილი შუალედურ შეფასებაში შეადგენს 20-20 ქულა ს, თუმცა, გაურკვეველია და შესაბამისად, დასაზუსტებელია, რა კრიტერიუმით ხდება 0-დან 20 ქულამდე თითოეული ქულის დაგროვება. ამასთან, სტუდენტებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი წინასწარ არ არიან ინფორმირებულები სემესტრის მანძილზე რამდენჯერ მოუწევთ შუალედური გამოცდის ჩაბარება.

- დაწესებულებამ წარმოადგინა შემუშავებული კითხვარების ფორმები სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალისთვის, თუმცა, არ წარმოუდგენია აღნიშნული კითხვარები შევსებული სახით.

- პროგრამასთან აფილირებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი არ იცნობენ სილაბუსების შინაარსს, სილაბუსებში მოცემული შეფასების სისტემა კი არ

ემთხვევა ფაქტობრივად გამოყენებულ შეფასების სისტემას.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების ასქულიანი სისტემა, რომელიც გროვდება სხვადასხვა კომპონენტით. მართალია, აღნიშნული კურსის სილაბუსში არ ფიქსირდება, თუმცა, შეფასების წესს, მეთოდებს და თითოეულ კომპონენტში ქულების დაგროვების წესს კურსის დასაწყისშივე აცნობს სტუდენტებს კურსის განმახორციელებელი პირი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს მართლაც არ წარედგინა კითხვარების ფორმები შევსებული სახით, რაც განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ დაწესებულების თანამშრომელს, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა აღნიშნულ დოკუმენტაციაზე, ქალაქიდან მოუხდა გამგზავრება.

საბჭოს წევრმა სთხოვა ექსპერტს დაეკონკრეტებინა ვიზიტის ხანგრძლივობა, ან როგორ მოხდა გამოსაკითხი სტუდენტების შერჩევა. ლიკა გიორგაძემ განმარტა, რომ ვიზიტი იყო ორდღიანი, დაწესებულებამ შეიმუშავა დღის წესრიგი, თავად შეარჩია გამოსაკითხი სტუდენტები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გამოსაკითხი სტუდენტები შემთხვევით იქნენ შერჩეული იმ სტუდენტთაგან, ვისაც ვიზიტის მიმდინარეობისას ლექციები უტარდებოდა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამაში შეფასების სისტემა მოცემული იყო, ზოგადად, უშუალოდ ინტეგრირებულ გამოცდასთან დაკონკრეტებული არ იყო, თუმცა, მოიაზრება რომ შეფასების იგივე წესი მოქმედებს. ექსპერტმა დააზუსტა, რომ სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის შეფასების წესი, თუმცა, სტუდენტთა ნაამბობი რადიკალურად განსხვავდებოდა სილაბუსებში მოცემული ინფორმაციიდან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რით შეიძლებოდა დადასტურებულიყო, რეალურად აღნიშნული გამოკითხვის შედეგები გამოყენებული და გათვალისწინებული იქნა თუ არა დაწესებულების მიერ. ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსის, გიორგი ცხვედიანის განმარტებით, ასეთი რამ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაში უნდა ყოფილიყო აღნიშნული.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებაში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, სადაც დეტალურადაა აღნიშნული როგორ ხდება გამოკითხვის წარმოება და ა.შ. თუმცა, აღნიშნულის განხორციელება ვიზიტის დროს არ დადასტურდა.

საბჭომ იმსჯელა შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებული არ არის.

თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 7

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან პროგრამას უარი ერთქვას აკრედიტაციაზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ ვინაიდან საბჭოს გადაწყვეტილება არის უარყოფითი, საბჭო ითვალისწინებს დაწესებულებაში ჩარიცხული სტუდენტების ინტერესებს და საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრავს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მობილობის პროცედურის დაწყებას.

39. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაფიქსირდა რიგი შენიშვნები, კერძოდ:

- პროგრამის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 30 კრედიტით, რომელიც სტუდენტმა უნდა დააგროვოს ოთხი სემესტრის მანძილზე (6/6/7/11 - კრედიტი), თუმცა, არ არის გაწერილი როგორ ხდება აღნიშნული კრედიტების ათვისება სემესტრულად.
- სილაბუსებში გაწერილი შეფასების სისტემა მრავალკომპონენტურია, თუმცა, არ არის გაწერილი აღნიშნულ კომპონენტებში ქულების დაგროვების წესი.
- პროგრამასთან აფილირებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები, თუმცა, სტუდენტთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სილაბუსებში მოცემული შეფასების სისტემა არ ემთხვევა ფაქტობრივად გამოყენებულ შეფასების სისტემას.
- ვინაიდან ფარმაციის მენეჯმენტი მიეკუთვნება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს და კვალიფიკაციაც ამ მიმართულებით ენიჭება კურსდამთავრებულს, პროგრამის განხორციელებაში ასევე უნდა იქნენ ჩართული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, ან ვისაც შესრულებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები ამ მიმართულებით.

- დაწესებულებამ წარმოადგინა შემუშავებული კითხვარების ფორმები სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალისთვის, თუმცა, არ წარმოუდგენია აღნიშნული კითხვარები შევსებული სახით.

ლიკა გიორგაძემ დააზუსტა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კურსის განმახორციელებლის კვალიფიკაცია შეიძლება დადასტურდეს სამეცნიერო ხარისხით შესაბამისი მიმართულებით, ან მის მიერ აღნიშნული მიმართულებით გამოქვეყნებული შრომებით. ვიზიტის დროს პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმიდან ვერ დადასტურდა მათი ხარისხი შესაბამისი მიმართულებით, რაც შეეხება გამოქვეყნებულ შრომებს, მათ პირად საქმეში მხოლოდ გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა იყო მითითებული. ამდენად, შესაძლოა, აღნიშნული პირებს მართლაც ჰქონდათ შესაბამისი კვალიფიკაცია, თუმცა, იგი ვიზიტის დროს ვერ დადასტურდა, ექსპერტთა ჯგუფს შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარედგინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართული არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, მათ შესაბამისი კურსები თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტშიც მიჰყავდათ და ნაშრომებიც შესაბამისი მიმართულებით გამოცემული ჰქონდათ. ექსპერტსაც წარედგინა აღნიშნული ნაშრომები. ლიკა გიორგაძემ დაადასტურა, რომ ერთ-ერთი პირის ნაშრომი მართლაც ნახა ვიზიტის დროს.

სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ სტუდენტს მთელი პროგრამის განმავლობაში ემუშავა სამაგისტრო ნაშრომზე. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ ოთხი სემესტრის მიმდინარეობისას, ერთერთი სემესტრის განმავლობაში სტუდენტი სათანადოდ ვერ შეასრულებდა ნაშრომს, როგორ მოახდებოდა მისი შეფასება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში შესაბამისი კრედიტი სტუდენტს არ მიენიჭებოდა. საბჭოს წევრმა, თეონა კუპატაძემ აღნიშნა, რომ ლოგიკას მოკლებული იყო სტუდენტებს საკურსო ნაშრომი შეესრულებინათ სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში, როდესაც ამ დისციპლინებს საერთო არაფერი ჰქონდათ ფარმაციის მენეჯმენტთან.

საბჭომ იმსჯელა შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ ფარმაციის მენეჯმენტის ერთსაფეხურიანი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებული არ არის.

თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 7

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს


საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი
„ჰიპოკრატეს“ ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომა დასრულდა 22:18 საათზე.

დავით კიკაღიშვილი

სხდომის თავმჯდომარე



დimitრი ალავერდიანი

სხდომის მდივანი

